

განრიდების პროგრამების 2020 წლის ანგარიში



საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო



სსიპ დანაშაულის პრევენციის,
არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა
და პრობაციის ეროვნული სააგენტო

შინაარსი

შესავალი	3
ზოგადი ინფორმაცია პროგრამის განვითარების შესახებ	4
2020 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები	6
პროგრამის შედეგები	11
განრიდებულ პირთა ხელშეკრულების ხშირად გამოყენებული პირობები	31

შესავალი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“, როგორც განრიდების პროგრამების ზოგად მენეჯმენტზე პასუხისმგებელი უწყება, ყოველწლიურად, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთანამშრომლობით ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს განრიდების მექანიზმის გაძლიერების მიზნით. აღნიშნული აქტივობები მოიცავს როგორც საგანმანათლებლო ღონისძიებებს პროკურორების, სოციალური მუშაკების, მედიატორებისა და მოსამართლეებისათვის, ასევე სხვადასხვა სახის ანალიტიკურ საქმიანობას, სტატისტიკური მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს, უწყებათაშორის მონიტორინგის ღონისძიებებს, ჩართულ სპეციალისტებსა და ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის გაძლიერებას, საგრანტო პროექტების დაფინანსებას ბენეფიციართათვის სერვისების გაფართოების და არასამთავრობო სექტორის გაძლიერების მიზნით, ასევე სხვა მნიშვნელოვან აქტივობებს.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2020 წლის ანგარიშს და მასში წარმოდგენილია პროგრამის განვითარების შესახებ მოკლე ინფორმაცია, 2020 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები და განრიდების პროგრამების დეტალური სტატისტიკა.

ანგარიშში მოცემული ინფორმაცია საინტერესოა როგორც იურისტებისათვის, ასევე სოციალური სფეროს წარმომადგენლებისათვის, პედაგოგების, მკვლევარების, სტუდენტებისა და აღნიშნული სფეროთი დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

ზოგადი ინფორმაცია პროგრამის განვითარების შესახებ

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯმენტს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში - სააგენტო) ახორციელებს. 2013 წლამდე, პროგრამა მოქმედებდა საპილოტე რეჟიმში და ეტაპობრივად ემატებოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქები, ხოლო 2013 წლის აგვისტოდან კი - მოქმედებს მთელი საქართველოს მასშტაბით.

განრიდების პროგრამები 21 წლამდე ასაკის პირისათვის წარმოადგენს ერთ შანსს, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ, განაგრძოს ცხოვრება ნასამართლობის, სასჯელის გარეშე, დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება და გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ. პროგრამა ეფექტური საშუალებაა 21 წლამდე ასაკის პირისათვის მართლშეგნების ხელშეწყობის, მისი რესოციალიზაციისა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებით დაზარალებულ პირთა ინტერესების დაცვით დაზარალების თვალსაზრისით.

განრიდება/განრიდება და მედიაცია ეყრდნობა აღდგენით მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს დამზარალებლისა და დაზარალებულის ინტერესებს, მიმართულია დანაშაულის პრევენციაზე და ზრუნავს საზოგადოების, როგორც მთლიანობის გაჯანსაღებაზე.

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ 21 წლამდე ასაკის პირმა ჩაიდინა დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და მის მიმართ გამოიყენოს განრიდების მექანიზმი. 21 წლამდე ასაკის პირის განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, პროკურორი დაუკავშირდება სააგენტოს, რომელიც უზრუნველყოფს საქმის კონკრეტული სოციალური მუშაკისთვის გადაცემას. სოციალური მუშაკი შეიმუშავებს განსარიდებლის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, განრიდების სარეკომენდაციო ღონისძიებებს და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობებს. ანგარიშის საფუძველზე პროკურორი სოციალურ მუშაკთან, ხოლო მედიაციის შემთხვევაში - მედიატორთან ერთად განსაზღვრავს განრიდების ღონისძიებას და ხელშეკრულების პირობებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, მას შემდეგ, რაც პროკურორი მიიღებს განრიდების გადაწყვეტილებას და საქმეს ჰყავს დაზარალებული, საქმეში ერთვება მედიატორი, რომელიც არის ნეიტრალური პირი. მედიატორის მიზანია დაზარალებულსა და დანაშაულის ჩამდენ განსარიდებელს შორის მოლაპარაკების წარმოება, შერიგებაში დახმარება და ზიანის ანაზღაურების ფორმაზე

შეთანხმება. მედიატორი დაზარალებულსა და განსარიდებელს აწვდის დეტალურ ინფორმაციას მედიაციის არსის, პროცედურების შესახებ და უხსნის მათ მედიაციის მნიშვნელობას. დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში, მოლაპარაკების პროცესის დასრულების შემდეგ მედიატორი მართავს შეხვედრას (ე.წ. მედიაციის კონფერენციას) რა დროსაც დაზარალებული და განსარიდებელი პირადად ხვდებიან ერთმანეთს. ყველა მხარესთან შეთანხმებით დგება სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ: განსარიდებელი, მისი კანონიერი წარმომადგენელი (18 წლის ასაკს მიუღწეველი პირის განრიდების შემთხვევაში), მედიატორი და დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირი. ხელშეკრულების შესაბამისად, განრიდების ღონისძიებასთან ერთად 21 წლამდე ასაკის პირს მიეწოდება მისთვის საჭირო სერვისები

და დაეკისრება დაზარალებულის ან/და საზოგადოების წინაშე მოვალეობები, რომელთა შემუშავებაში მედიატორიც იღებს მონაწილეობას. განრიდებულს დახმარებას გაუწევენ სახელმწიფო და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები.

პირობების ჩამოყალიბებისას პროკურორი, სოციალური მუშაკი და მედიატორი ითვალისწინებენ დაზარალებულის ინტერესს და მოქმედებენ განსარიდებლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. შესაბამისად, ხელშეკრულების პირობად აგრეთვე შეიძლება განისაზღვროს, ზიანის ანაზღაურება ან/და დაზარალებულისთვის ბოდიშის მოხდა საქმის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუ საქმეს არ ჰყავს დაზარალებული, ან დაზარალებული წინააღმდეგია მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, აღნიშნული არ აბრკოლებს განრიდების პროცესს და პროკურორი უფლებამოსილია გააფორმოს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან ხელშეკრულება განრიდების შესახებ. ამასთან, დაზარალებულს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ჩაერთოს მედიაციის პროცესში. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, 21 წლამდე ასაკის პირის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სოციალური მუშაკი. შესაძლებელია, რომ განრიდებულმა არ გამოიყენოს მისთვის მიცემული შანსი და დაარღვიოს ხელშეკრულების პირობები. ასეთ შემთხვევაში, სოციალური მუშაკი დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას პროკურორს, პროკურორი კი უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა მის მიმართ. ასეთი შესაძლებლობის არსებობამ კარგად უნდა დააფიქროს განრიდებული და უზრუნველყოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

2014 წლის ნოემბრამდე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული წარმოადგენდა ნაკლებად მძიმე დანაშაულს. 2014 წლის 11 ნოემბრიდან პროგრამა გავრცელდა მძიმე კატეგორიის დანაშაულებზეც. აღნიშნული ცვლილებებით შეიცვალა და დაიხვეწა 2010 წლიდან პროგრამის პრაქტიკაში გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზები და სხვადასხვა პროცედურული საკითხებიც. მათ შორის, დაწესდა პროგრამაში მომუშავე პროფესიონალთათვის სამუშაო ვადები. ასევე, თუ წინათ მედიაციის შესახებ დაზარალებულს ინფორმაციას პროკურორი აწვდიდა და მხოლოდ დაზარალებულის მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში ერთვებოდა მედიატორი, დღეისათვის იგი პროცესში პროკურორის მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ერთვება, რაც ზრდის მედიაციით დასრულებული

საქმეების რაოდენობას. შესაბამისად, ამცირებს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებულსა და განრიდებულს შორის წარმოშობილი კონფლიქტების რაოდენობას და ზრდის კმაყოფილ დაზარალებულთა რიცხვს.

2016 წლის პირველ იანვარს ამოქმედდა საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომელის მიხედვითაც ბევრ სხვა ნოვაციასთან ერთად, კიდევ უფრო დაიხვეწა და გაუმჯობესდა განრიდების მექანიზმი. კოდექსის მიხედვით, განრიდება გახდა პრიორიტეტული და კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში, პროკურორი ვალდებულია პირველ რიგში, განიხილოს განრიდების შესაძლებლობა და მხოლოდ შემდეგ დაიწყოს ფიქრი სისხლისსამართლებრივ დევნაზე. განრიდება გავრცელდა 14-18 წლის

არასრულწლოვნების გარდა, 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებზეც. განრიდების უფლებამოსილება აგრეთვე მიენიჭა სასამართლოსაც. კერძოდ, 2016 წლის 1-ლი იანვრიდან მოსამართლე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ან/და საკუთარი ინიციატივით საქმე დაუბრუნოს პროკურორს განრიდების მიზნით. მნიშვნელოვანი ცვლილებაა აგრეთვე ის, რომ მედიატორის როლი კიდევ უფრო გაიზარდა. კოდექსის მიხედვით, პროკურორისა და სოციალური მუშაკის დასწრება მედიაციის კონფერენციაზე სავალდებულო აღარ არის.

2020 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები

ექსპერტებისა და პრაქტიკოსი პროფესიონალების მონაწილეობით, პარტნიორ უწყებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შემუშავდა და დამტკიცდა „განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესისა და სამუშაო დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე“, სააგენტოს უფროსის ბრძანება, რომლის საფუძველზეც განახლდა მედიატორთა საქმიანობის მარეგულირებელი წესები. ბრძანების შესაბამისად

- ამოქმედდა დისტანციური მედიაციის მოდელი, რომელიც მაქსიმალურად არის მორგებული მედიაციის მხარეთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვაზე და მინიმუმამდეა დაყვანილი პირადი შეხვედრები მედიაციის მხარეებსა და სააგენტოს მედიატორებს შორის. აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება ახალი კორონავირუსის გავრცელების პირობებში აღდგენითი მართლმსაჯულების არსებული პრაქტიკის გაგრძელებისა და გაუმჯობესებისათვის და მისი გამოყენება გაგრძელდება ვირუსის გავრცელების რისკების არარსებობის პირობებშიც ისეთ მედიაციის საქმეებში, რომლებშიც მედიაციის მხარეები საზღვარგარეთ, ან ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში იმყოფებიან;
- დაიხვეწა პროცედურული საკითხები და განახლდა სამუშაო ფორმები. განახლებული ბრძანებით ყურადღება ეთმობა კვლევით კომპონენტს, რითაც განრიდებისა და მედიაციის პროგრამა კიდევ უფრო დაუახლოვდა აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენებისა და პრაქტიკის შეფასების საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს, ხედვებსა და ღირებულებებს.

შემუშავდა ბრძანების პროექტი, რომლის საფუძველზეც დაგეგმილია მედიატორად დასაქმების წესის, მედიატორთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და მედიატორთა რეესტრის სისტემის დამტკიცება. შედეგად, დაიხვეწება და უფრო გამჭვირვალე გახდება მედიატორთა შერჩევის, გადამზადებისა და დასაქმების პროცესი.

საანგარიშო პერიოდში, სააგენტოს განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის მუშაობა ძირითადად, აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით საქმიანობის ხარისხის შეფასების-კვლევის მიმართულებას ეთმობოდა. ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტთან და პროექტის ექსპერტთან თანამშრომლობით შემუშავდა მედიაციის პროცესში მონაწილე პირთა კმაყოფილების ონლაინ და სატელეფონო კვლევის კითხვარები, განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებს შორის დანაშაულის გაცნობიერების მიმართულებით მედიაციის ეფექტიანობის კვლევისათვის, შემუშავდა პრე და პოსტ კითხვარი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტთან თანამშრომლობით დაგეგმილია აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის კვლევა 2021 წლისათვის.

ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის დახმარებითა და აღნიშნული პროექტის მიერ მოწვეული ბელგიელი ექსპერტის ჩართულობით, საანგარიშო პერიოდში გაიმართა შემდეგი აქტივობები:

- მულტიდისციპლინური შეხვედრა აღდგენით მართლმსაჯულებაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ პროკურორები, სოციალური მუშაკები, მედიატორები, მოსამართლეები და ადვოკატები. შეხვედრა მიზნად ისახავდა საქართველოში მედიაციის ინსტიტუციური განვითარების შესაძლო გზების განხილვასა და ექსპერტის დახმარებით, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას;
- სამუშაო შეხვედრა - დისტანციური მედიაციის მექანიზმის იმპლემენტაციის გაუმჯობესება, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სააგენტოს პრაქტიკოსი მედიატორები და მენეჯერული რგოლის თანამშრომლები. შეხვედრა მიზნად ისახავდა საქართველოში მოქმედი დისტანციური მედიაციის მექანიზმის განხილვას, ასევე დისტანციური მედიაციის ევროპული გამოცდილების გაზიარებას, მედიატორთა სახელმძღვანელო მითითებების განხილვა-გაუმჯობესებას დისტანციური მედიაციის არსებული, ასევე ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით;
- ნოემბერში, აღდგენითი მართლმსაჯულების საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე - აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის განვითარების პერსპექტივა და გამოწვევები, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს პროკურატურის, სააგენტოს, მანდატურის სამსახურის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, არასამთავრობო ორგანიზაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის დაფინანსებით, სააგენტოს განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის ორი თანამშრომელი მონაწილეობას იღებდა აღდგენით მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის მიერ ორგანიზებულ 3 დღიან ტრენინგში - „აღდგენითი მიდგომები მძიმე ზიანის საქმეებზე (შესავალი)“.

გაეროს ბავშვთა ფონდის დაფინანსებით, ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის“ მიერ განხორციელებული პროექტის „სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების გაძლიერება საგანგებო და პოსტ-საგანგებო მდგომარეობის დროს ეფექტური მოქმედებისათვის“ ფარგლებში, სააგენტოს ცენტრალური ოფისი და მედიაციის სახლი აღიჭურვა დისტანციური მედიაციისა და სარეაბილიტაციო სერვისების მიწოდებისათვის საჭირო აპარატურით. ასევე გაიმართა შემდეგი აქტივობები:

- ტრენინგები ადიქციის საკითხებზე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისათვის;
- ტრენინგი ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისათვის;
- ტრენინგი ეფექტური დისტანციური კომუნიკაციის საკითხებზე სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების, მედიატორებისა და სააგენტოს სხვა სპეციალისტებისათვის;
- ტრენინგი - პროფესიული გადაწყვეტილება და სტრესის მართვა სააგენტოს თანამშრომლებისათვის;
- სუპერვიზიისა და ინტერვიუების სესიები სააგენტოს მედიატორებისა და სოციალური მუშაკებისთვის.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მომზადდა:

- სოციალური მუშაკების საჭიროებათა შეფასების ანგარიში;
- სახელმძღვანელო სააგენტოს ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკებისა და დამხმარე პროფესიის სხვა წარმომადგენლებისათვის - „ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მართვა დისტანციურად“
- პრაქტიკული სახელმძღვანელო - „სოციალური მუშაობა საგანგებო მდგომარეობის დროს“
- პრაქტიკული სახელმძღვანელო სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგებისა და მედიატორებისათვის - დისტანციური კომუნიკაცია
- გზამკვლევი ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტებისათვის - ადიქციასთან მუშაობის პრინციპები და პროცესი;
- გზამკვლევი მედიატორებისათვის - დისტანციური მედიაცია.

სააგენტოსა და ა(ა)იპ „საქართველოს ზიანის შემცირების“ ქსელს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით განრიდების პროგრამებში ჩართული და სააგენტოს სხვა სამიზნე კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისათვის.

იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა აქტიური ჩართულობით განახორციელა საქველმოქმედო აქცია Food Bank-ის სახით, რომელიც მიზნად ისახავდა სსიპ „დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ იმ პირების, მათ შორის, განრიდების პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა ოჯახების საკვებითა და პირველადი მოხმარების ნივთებით უზრუნველყოფას, რომლებსაც ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების შემდეგ განსაკუთრებული საჭიროებები გაუჩნდათ.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) მხარდაჭერით და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების (GCRT; GIP) ჩართულობით დაიწყო მუშაობა სააგენტოში არსებული სარეაბილიტაციო პროგრამების განახლების მიზნით. აღნიშნული აქტივობის ფარგლებში გაუმჯობესდება და განახლდება ის მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო პროგრამები, რომლებიც მიეწოდებათ განრიდების პროგრამების ბენეფიციარებს სააგენტოს მიერ, როგორც სერვისები.

2020 წლის 16 სექტემბერს № 1242 ბრძანებით შემუშავდა და დამტკიცდა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია.

ევროკავშირის „პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის“ პროექტის მხარდაჭერითა და მათი წარმომადგენლების, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით, მიმდინარე პერიოდში ჩატარდა შემდეგი აქტივობები:

- სამუშაო შეხვედრები „მოტივაციური ინტერვიუების“ საკითხებზე, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების პროფესიული განვითარების და გაძლიერების მიზნით;
- სამუშაო შეხვედრები ძალადობის რისკის შეფასების კითხვარის (SPAPRA) შექმნა/დახვეწის მიზნით;

ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით საანგარიშო პერიოდში ასევე მომზადდა „არასრულწლოვანი პირის რისკისა და საჭიროებების შეფასების, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის (შემთხვევის მართვის წესი), აგრეთვე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების პროექტი.

აღნიშნული პროექტის ჯეროვანი იმპლემენტაციისთვის შედგა მულტისექტორული სამუშაო შეხვედრა სააგენტოს, პროკურატურის, სასამართლოს და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენლებთან.

ა/ო საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის „თანადგომა“ ორგანიზებით სოციალური მუშაკებისთვის და ფსიქოლოგებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ნარკოტიკების მომხმარებელთა საჭიროებები და მომსახურება ახალი კორონა ვირუსის (covid-19)გავრცელების რისკებთან დაკავშირებული შეზღუდვების პირობებში.


პროგრამის შედეგები

2020 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 534 პირი, აქედან 298 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 236 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). აქედან 218 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 181 მედიაციის საერთო შეხვედრა, მათგან 57 პირისპირ და 124 დისტანციური მედიაციის საერთო შეხვედრა.

2010 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, საერთო ჯამში, განრიდებულ იქნა 4965, 21 წლის ასაკამდე პირი.


განრიდების პროგრამებთან დაკავშირებული დეტალური სტატისტიკური მონაცემები:

სტატისტიკური მონაცემები რეგიონების მიხედვით 2020 წელს




წლებისა და ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით

■ 14-დან 18 წლამდე ■ 18-დან 21 წლამდე




სტატისტიკური მონაცემები თვეების მიხედვით 2020 წელს




სტატისტიკური მონაცემები სქესისა და ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით 2020 წელს

■ 14-დან 18 წლამდე ■ 18-დან 21 წლამდე




სტატისტიკური მონაცემები დანაშაულთა და ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით 2020 წელს




სტატისტიკური მონაცემები დანაშაულის კატეგორიისა და დანაშაულის ჩადენის დროს ასაკის მიხედვით 2020 წელს


■ მძიმე დანაშაული ■ ნაკლებად მძიმე დანაშაული




სტატისტიკური მონაცემები ხელშეკრულების ხანგრძლივობის მიხედვით 2020 წელს




წარმატებით დასრულებული მედიაციის საქმეები წლების მიხედვით




წარმატებით დასრულებული მედიაციის კონფერენციები
წლების მიხედვით 14 დან 21 წლის ასაკამდე პირებს შორის
წლების მიხედვით




სტატისტიკური მონაცემები, ასაკის მიხედვით, დანაშაულის ჩადენის დროს 2020 წელს




განრიდების ხელშეკრულებების გაფორმებით დასრულებულ საქმეებთან დაკავშირებული მონაცემები 2020 წელს




მედიაციის მაჩვენებელი არასრულწლოვნებს შორის იმ საქმეებში,
სადაც დაზარალებული არსებობდა 2020 წელს




მედიაციის პროცენტული მაჩვენებელი 21 წლამდე ასაკის
სრულწლოვნებს შორის იმ საქმეებში, სადაც არსებობდა მედიაციის
წინაპირობა 2020 წელს




ფიზიკური პირების მედიაციის პროცესში
მონაწილეობასთან დაკავშირებული
მაჩვენებელი (2020)




იურიდიული პირების მედიაციის
პროცესში მონაწილეობასთან
დაკავშირებული მაჩვენებელი (2020)



განრიდებისა და მედიაციის
კონფერენციაზე პროკურორების
დასწრების მაჩვენებელი (2020)




განრიდებისა და მედიაციის
კონფერენციაზე სოციალური
მუშაკების დასწრების მაჩვენებელი
(2020)




დაზარალებულთა მონაცემები


■ 14-დან 18 წლამდე განრიდებული ■ 18-დან 21 წლამდე განრიდებული




2020 წლის მონაცემები რაიონული და საოლქო პროკურატურების მიხედვით 14-დან 21 წლამდე პირებს შორის



სტატისტიკური მონაცემები თბილისის მასშტაბით რაიონული პროკურატურების მიხედვით 2020 წელს



მედიატორის უარის განმაპირობებელი გარემოებები



დაზარალებულის უარის განმაპირობებელი გარემოებები



¹ უარის განმაპირობებელ მიზეზთა რაოდენობის ჯამი შესაძლოა არ ემთხვეოდეს საქმეთა რაოდენობას, ვინაიდან რიგ საქმეებში ფიგურირებდა რამდენიმე დაზარალებული

განრიდებულ პირთა ხელშეკრულების ხშირად გამოყენებული პირობები

სერვისები და ვალდებულებები

განათლება

- წაიკითხოს სკოლის მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სხვადასხვა წიგნი, მაგ.: „სამართლის ქალაქი“, და სხვა მხატვრული ან სხვა ჟანრის ლიტერატურა;
- დაწეროს ესე სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით (მაგ.: „დანაშაულის მაპროვოცირებელი მიზეზები, მისი შედეგები და თავიდან აცილების გზები“, „რომ არა განრიდების პროგრამა“, „ავტოსაგზაო შემთხვევათა გამომწვევი მიზეზები და მათი თავიდან აცილების გზები“, „პიროვნული თავისუფლება“, „დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები“, „რა შედეგები მოაქვს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას“, „ძალადობის გამომწვევი მიზეზები და მისი შედეგები“, „როგორ ავირიდოთ ფიზიკური დაპირისპირება“, „თამბაქოს მოხმარების რისკები და საფრთხეები“, „ავტოსაგზაო შემთხვევები, გამომწვევი მიზეზები და პრევენციის გზები“, „მოზარდებში დანაშაულის ჩადენის მიზეზები და შედეგები“, „მოხალისეობრივი საქმიანობის მიზანი და მნიშვნელობა“, „საჭიროებების დაკმაყოფილების ლეგალური გზები“, „რა მასწავლა ამ შემთხვევამ და რას გავითვალისწინებ მომავალში“, „ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობის მოხმარების შედეგად გამოწვეული საფრთხეები და რისკები“, „კომპიუტერული თამაშების თანმხლები საფრთხეები და რისკები“, „ძალადობა მოზარდებში-გამომწვევი მიზეზები და დაძლევის გზები“);
- ჩაერთოს კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობებში;
- გააუმჯობესოს სკოლაში აკადემიური მოსწრება, აკონტროლოს საკუთარი ქმედება და დაიცვას კანონი;
- მოიძიოს ინფორმაცია საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ და გააკეთოს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგებისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ ანალიზი, საჭიროებისამებრ, სოციალური მუშაკის დახმარებით;

- მოიძიოს ინფორმაცია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, არსებულ კანონმდებლობაზე და განიხილოს სოციალურ მუშაკთან;
- სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობიდან წაიკითხოს სოციალური მუშაკის მიერ შერჩეული კანონი/მუხლ(ებ)ი;
- ქართულ ენაზე წერა-კითხვის გაუმჯობესების მიზნით შეასრულოს სოციალური მუშაკის მიერ შერჩეული სხვადასხვა დავალება;
- მოიძიოს ინფორმაცია ძალადობრივი ქმედების, მისი შედეგების შესახებ და წარუდგინოს სოციალურ მუშაკს;
- მოიძიოს ინფორმაცია აზარტული თამაშებზე დამოკიდებულებისა და არასრულწლოვანზე ნეგატიური ზეგავლენის შედეგების შესახებ;
- მიეწოდოს ინფორმაცია ფსიქო-აქტიური ნივთიერებების მოხმარების უარყოფითი შედეგების შესახებ და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სოციალურ მუშაკს მიაწოდოს უკუკავშირი;
- სოციალური მუშაკის მიერ შერჩეულ თემაზე მოამზადოს ფოტო კოლაჟი;
- გაეცნოს შესაბამის ლიტერატურას, მოიძიოს წყაროები და მოამზადოს პრეზენტაცია თემაზე - ფსიქოაქტიური ნივთიერებების და კონკრეტულად, მარიხუანას ნეგატიური გავლენის შესახებ;
- მშობელს გაეწიოს კონსულტაცია ექიმის გარეშე ფსიქოაქტიური მედიკამენტების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკებისა და არასრულწლოვნის ჭეშმარიტი საჭიროებების შესახებ;
- მიეწოდოს ინფორმაცია ცივი იარაღის ტარებასა და მისი შედეგების გაცნობიერებასთან დაკავშირებით.

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

- ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში და დაეხმაროს საქველმოქმედო ორგანიზაციას;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ცხოვრებისეული ფასეულობები“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ეფექტური კომუნიკაცია“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ასერტული ქცევა“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „დანაშაულის გაცნობიერება“;
- გაიაროს ინდივიდუალური კონსულტაციები ფსიქოლოგთან შესაბამისი საჭიროების მიხედვით. მათ შორის, სტრესული გამოცდილების დაძლევის, თამაშდამოკიდებულების დაძლევისა და სხვა მიზნით;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, თამბაქოს მოხმარების შეწყვეტის მიზნით;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ბრაზის მართვა“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „მომავლის დაგეგმვა“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ცხოვრებისეული რისკები და საჭიროებები“;

- ანტისოციალური ქცევის პრევენციის მიზნით, ჩაერთოს არასამთავრობო ორგანიზაცი(ებ)ის მიერ შემოთავაზებულ სარეაბილიტაციო პროგრამებში;
- მოხალისეობრივი აქტივობებით ჩაერთოს საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში;
- გაიაროს კონსულტაციები სოციალურ მუშაკთან დანაშაულის უკეთ გააზრების, ალკოჰოლის არამართლზომიერად მოხმარების, აზარტული თამაშების მავნე ზეგავლენის გაცნობიერების მიზნით;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „სტრესის მართვა“;
- მიიღოს ფსიქოლოგის/ფსიქიატრის მომსახურება დესტრუქციული ქცევების შემცირების მიზნით;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „უფლებები და ტოლერანტობა“;
- მშობელი ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „პოზიტიური მშობლობა“.

შეზღუდვები და სხვა ვალდებულებები

- სასკოლო სასწავლო პროცესის ფარგლებში გაკვეთილებზე დროულად გამოცხადებისა და გაცდენის შეზღუდვა;
- საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შეზღუდვა მასთან მომუშავე პროფესიონალების ინფორმირების გარეშე;
- შინიდან გასვლის შეზღუდვა დღის განსაზღვრულ მონაკვეთში (ძირითადად, ღამის საათებში) და შესაბამისი გამონაკლისით;
- ქალაქიდან გასვლის შეზღუდვა პროკურორისა და სოციალური მუშაკის ნებართვის გარეშე;
- თავი აარიდოს აზარტულ სათამაშო კლუბებში შესვლას, ასევე არ დაამყაროს ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებმაც შეიძლება შეუწყონ ხელი მის ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვას;
- მოიძიოს ინფორმაცია დაზარალებული იურიდიული პირის საქმიანობის სპეციფიკის, მისი დაარსებისა და საქმიანობის სფეროს შესახებ;
- არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული;
- აეკრძალოს კანონით აკრძალული ნივთების ტარება.

დაზარალებულის წინაშე ვალდებულებები

- დაზარალებულს აუნაზღაუროს მიყენებული მატერიალური ზიანი;
- დაეხმაროს დაზარალებულს დაზიანებული ნივთის შეკეთებასა და მოვლაში;
- დაეხმაროს დაზარალებულს მაღაზიაში სხვადასხვა საქმიანობაში;
- მიწეროს წერილი დაზარალებულს, სადაც უამბობს საკუთარი თავის, თავისი ქმედების და მისდამი დამოკიდებულების შესახებ;

სპორტი და ხელოვნება

- არასამთავრობო ორგანიზაციის ბენეფიციარები ავარჯიშოს: ფეხბურთში; ფარიკაობაში; ჭიდაობაში; აღმოსავლურ ორთაბრძოლაში.
- იაროს სპორტის უფასო წრეზე;

საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობები

- მიიღოს მონაწილეობა ეკლესიის დასუფთავებაში;
- დაეხმაროს საბავშვო ბაღის პერსონალს სხვადასხვა აქტივობებში;
- დაეხმაროს საქველმოქმედო ორგანიზაციას სოციალურად დაუცველი მოხუცების კვებით უზრუნველყოფის პროცესში;
- მიიღოს მონაწილეობა სახლმუზეუმის დასუფთავების აქტივობაში;
- იაროს სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრში და დაეხმაროს ბავშვებს, წაუკითხოს მათ ზღაპრები და მოთხრობები, შეასწავლო ქართული ხალხური ცეკვა, კომპიუტერული პროგრამირება, დაეხმაროს საგნობრივი სირთულეების დაძლევაში, ჩაუტაროს მუსიკის გაკვეთილები;
- მიიღოს მონაწილეობა კულტურის ცენტრთან არსებული ბიბლიოთეკის კარტოთეკის დალაგების პროცესში;
- დაეხმაროს სოფელში მცხოვრებ მარტოხელა მოხუცს საოჯახო და სასოფლო-სამურნეო საქმიანობაში;
- კეთილმოწყობის სამსახურის მომსახურე პერსონალს დაეხმაროს ქალაქის გამწვანების საქმეში;
- სოციალურად დაუცველ პირთა სასაბუღალტრო მიუტანოს კუთვნილი ულუფა მოხუცებს;
- დაეხმაროს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს სხვადასხვა საქმიანობაში;



განრიდება

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

